გორეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №14(316) 2024 წ. 16-31 ივლისი ფასი 1 ლარი

საქართველოს მთავრობამ უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა შეიმუშავა

პროექტის დეტალები, საკონკურსო პირობები, ვადები და შერჩევის კრიტერიუმები პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის წევრებთან შეხვედრაზე განიხილა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა მკაფიო საკონკურსო კრიტერიუმების განსაზღვრის აუცილებლობას, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ახალგაზრდებს ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის საშუალება ექნებათ.

პროექტის დეტალებზე პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება, რის შემდეგაც კონკურსი გამოცხადდება. პროგრამა 3 ათასზე მეტ კურსდამთავრებულს საჯარო სამსახურში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესაძლებლობას მისცემს.

პარტია „ქართული ოცნების“ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის საარჩევნო შტაბს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი უხელმძღვანელებს

თათბირი კახეთის მხარეში

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ალადაშვილმა** მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს:

– მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები;
– ”ალოობა - 2024” და ატმის მოსავლის ჩაბარების პროცესის მიმდინარეობა;
– მოახლოებული “რთველი - 2024” და მასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები;
– სოციალური საკითხები;
– მიმდინარე თვეში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები;
– დასუფთავების საკითხები.
– კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები ესწრებოდნენ.

საგარეჯოელები ბაკურიანის ახალგაზრდულ ბანაკში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** ხუთდღიან ახალგაზრდულ ბანაკში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები, 45 დარეგისტრირებული მონაწილე დაბა ბაკურიანში გააცილა. “წარმატების ვექტორი” -ს ფარგლებში, ახალგაზრდებს შეეძლებათ, არაფორმალური განათლების მიმართულებით აიმაღლონ ცოდნა, აღმოაჩინონ და განავითარონ სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული უნარები აქტიურ სამოქალაქო ცხოვრებაში ჩასართველად, ასევე, განავითარონ ლიდერული თვისებები.

ბანაკი დაბა ბაკურიანში მოეწყობა და ინტერაქციულ ფორმატში წარიმართება.

მონაწილეთა მგზავრობას, სასტუმროში განთავსებისა და კვების ხარჯებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს.

ავთანდილ გულიკაშვილმა ახალგაზრდებს გამგზავრებამდე ხალიასიანი და შთაბეჭდილებებით სავსე დღეები უსურვა და პირობა აღუთქვა, რომ მომავალ კვირას ესტუმრება, ერთი სრული დღის მანძილზე შეუერთდება ბანაკის წევრებს და მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა აქტივობებში.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი ნაილი ალექსაშვილი: –

„სიახლეები მართლაც მნიშვნელოვანია!“

ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობებსა და კეთილმოწყობილ სივრცეებში აღარ ისმის აღსაზრდელთა სიცილ-კისკისი და ჟრიამული – მომავალი თაობის აღზრდის კერა დროებით ყველგან დაემშვიდობა თავის აღსაზრდელებს – საზაფხულო არდადეგებია. თუმცა, არც ერთი შენობის კარები არ გამოკეტილა – აქ კვლავ დიდი სამზადისია – მომავალი ახალი სასწავლო წლისათვის უფრო მომზადებული უნდა შეხვდეს თითოეული მათგანი ცნობისმოყვარე გოგო-ბიჭებს, დიახ, განახლებული ინფრასტრუქტურით.

თუ რა გაკეთდა გასულ 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ვრცლად გვესაუბრება *ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი* ნაილი ალექსაშვილი.

– ქნი ნაილი, მოდით, საუბარი დავიწყოთ იქიდან, თუ რამდენი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ფუნქციონირებდა გასულ სასწავლო წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში?

– დიახ, გასულ სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 30 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ფუნქციონირდება. სასწავლო-საალმზრდელო პროცესი გასული წლის სექტემბერში 29 დაწესებულებამ დაიწყო, ხოლო მიმდინარე წლის 5 თებერვლიდან მათ ახლადაგებულ შენობაში გახსნილი იორმუღანლოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შეემატა.

– მთელი სასწავლო წლის განმავლობაში რამდენი აღსაზრდელი იყო გაერთიანების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში?

– სასწავლო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები 1491 აღსაზრდელს მოემსახურა

– რამდენი აღზრდილი შეაღებს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველი კლასის კარებს?

– მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველი კლასის კარებს ჩვენგან გზადალოცვილი 443 აღსაზრდელი შეაღებს.

– რა მნიშვნელოვანი სიახლეები იყო გასულ სასწავლო წელს გაერთიანების დაწესებულებებში, საუბარია ინფრასტრუქტურის, სასწავლო-საალმზრდელო პროგრამის მოწესრიგება-დახვეწაზე.

– გასულ სასწავლო წელს გაერთიანების დაწესებულებებში მნიშვნელოვანი სიახლეებია და ***ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები:***

– შევიძინეთ ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის კომპიუტერები, პრინტერები, წიგნები, სათამაშოები, ავეჯი.

– გარემონტდა სამზარეულოები –კოჭბანის, პატარა ჩაილურის, თოხლიაურის, ვერხვიანის, მანავის პირველი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში.

– მოწესრიგდა უდაბნოს დაწესებულებაში დენის სიმძლავრის გაზრდა.

– რამდენიმე ბაღში განახლდა კანალიზაციის სისტემა.

– ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მოხდა ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრების გადამუხტვა.

– მთელ რიგ საბავშვო ბაღში მოხდა ელექტრომოწყობილობების (ქურების) შეკეთება.

– უდაბნოს და კაკაბეთის №2 საბავშვო ბაღებში – ცენტრალური გათბობის სისტემის შეკეთება,ასევე – გიორგიწმინდის, ხაშმის, საგარეჯოს №1 და პატარძეულის №1 საბავშვო ბაღებში.

– მანავის №1 და მანავის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის შევიძინეთ მუსიკალური ინსტრუმენტი – პიანინო და ყველა ბაღში მოხდა მუსიკალური ინსტრუმენტის –პიანინოს აწყობა.

– საბავშვო ბაღებისთვის შევიძინეთ 4 მაცივარი, 2 ელექტროქურა და 4 ხორცსაკეპი მანქანა –უდაბნოს, პატარძეულის №2, ხაშმისა და იორმუღანლოს საბავშვო ბაღებისათვის; შევიძინეთ დენის გამაცხელებლები – პატარა ჩაილურის, პატარძეულის №1 და გიორგიწმინდის საბავშვო ბაღებისთვის.

– მოხდა საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის სახურავის დასუფთავება და ჟოლობების გაწმენდა..

– ელექტრომოწყობილობების შეკეთება საგარეჯოს №6, საგარეჯოს №3, საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

– საგარეჯოს №6 და ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შევიძინეთ წყლის ავზები.

– მეტალოპლასტმასის სარკმლისა და მათი ბადეების გაკეთება მოხდა საგარეჯოს №1, საგარეჯოს №5, ნინოწმინდის, საგარეჯოს №4, დიდი ჩაილურის, პატარძეულის №1 და პატარძეულის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

– სისტემატურად ხდება ბაღებისთვის სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საკანცელარიო ნივთების შეძენა.

– ყველა აღსაზრდელს დავურიგეთ საჩუქრების ნაკრები.

– კაკაბეთის №2, მანავის №1, კოჭბანის და გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების სახლიდან დაწესებულებაში და დაწესებულებიდან სახლში გადაადგილებას.

– რამდენიმე საბავშვო ბაღში მოხდა დეზინფექციისა და დეზინფექციასთან დაკავშირებული მომსახურება (საუბარია ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე).

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2024 წლის 5 თებერვალს მუშაობა დაიწყო იორმუღანლოს ახალმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ავეჯით, ჭურჭლით, ინვენტარით. 2024 წლის თებერვლიდან ივნისის ჩათვლით აქ ფუნქციონირებდა 4 ჯგუფი 128 აღსაზრდელით.

– ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დავნერგეთ ადრეული განათლების კურიკულუმი-თამაში-პრაქტიკული სახელმძღვანელო – სცენარები 2-5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, კურიკულუმის მიზანია დაეხმაროს 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე პერსონალს საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში, განხორციელებასა და შეფასებაში. კურიკულუმი წარმოადგენს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ მითითებებს. ცოდნას, გამოცდილებებს, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისათვის განმავითარებელი და საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზება და უზრუნველყოფა. გზამკვლევი მოიცავს დაგეგმილი და დაუგეგმავი სიტუაციების აღწერას, თამაშებს, რუტინას, ურთიერთობებს,რომლებიც სპეციალისტებს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დონეზე შედგენა-განხორციელებაში დაეხმარება.

– ამჟამად არდადეგებია, მაგრამ ქალაქის №1 საბავშვო ბაღი აგრძელებს მუშაობას. რაიმე განსაკუთრებული სიახლე ხომ არ არის?

– საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში გახსნილია ზაფხულის სამი ჯგუფი,სადაც ირიცხება 87 აღსაზრდელი.ამ ბაღში ქალაქის სხვადასხვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდანაა შემომატებული აღსაზრდელები. დიახ,ჩვენ ხელს ვუწყობთ მშობლებს მათ მიერ სამსახურის გულდადინჯებით გასაგრძელებლადსაზაფხულო ბაღი 1 აგვისტომდე იფუნქციონირებს....

– ზაფხულის არდადეგების განმავლობაში რაიმე სარეაბილიტაციო სამუშაოები ხომ არ არის დაგეგმილი? სად?

– მიმდინარეობს ლამბალოსა და საგარეჯოს №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ახალი შენობის მშენებლობა და. დაგეგმილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ეზოების კეთილმოწყობა – მოწესრიგდება ეზოები და შეიცვლება ეზოს სათამაშოები.

– აზერბაიჯანულ სექტორში, საუბარია იორმუღანლოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაზე, მომავალ სასწავლო წელს რამდენი აღსაზრდელი იქნება და რამდენი ქართულ სექტორში?

– იორმუღანლოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გათვლილია 6 ჯგუფზე, 180 ბავშვზე. ამჟამად, როგორც გითხარით, აქ ივნისის ბოლომდე ფუნქციონირებდა 4 ჯგუფი – 128 აღსაზრდელით, სექტემბრისთვის ამ ბაღში იფუნქციონირებს 6 ჯგუფი. ზუსტი რიცხვი ჯერჯერობით არ ვიცით რეგისტრირებული ბავშვების, რადგან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა რეგისტრაცია არ დამთავრებულა, რეგისტრაციის მეორე ეტაპი განახლდება 20 აგვისტოს და დამთავრდება 6 სექტემბერს. ასევე, დაზუსტებული ციფრი არ გვაქვს ქართული სექტორის აღსაზრდელებზე.

– პედაგოგთა სერტიფიცირება როდის დაიწყება, რომლისთვისაც უკვე დიდი ხანია გულდადინჯებით ემზადებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა პედაგოგები?

– სისტემატურად მიმდინარეობს საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში თანამშრომლების სერტიფიცირება. სერტიფიცირებულია 62 აღმზრდელი. დაგეგმილია იმ აღმზრდელების სერტიფიცირება, ვინც ახლად მიღებული გვყავს. მოვახდინეთ ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუსიკის მასწავლებლების სერტიფიცირება.

2024 წლის 13 ივნისს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სკოლამდელი გარემოს დაცვითი განათლება“, ამ ტრენინგის ორგანიზატორი იყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. ტრენინგი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მეთოდისტებმა და აღმზრდელებმა გაიარეს. 2024 წლის 27 მაისს ჩატარდა ტრენინგი თემაზე – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ადმინისტრირება და მენეჯმენტი – გადამზადდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 65 თანამშრომელი. ასე,რომ მუდმივად ხდება ჩვენი თანამშრომლების გადამზადება.

– ახლაც ფუსფუსია საბავშვო ბაღების ირგვლივ...

– ივლისის დასაწყისში, ყველა ბაღის სამზარეულო აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტის ჭურჭლით, ამოიცვალა ძველი ჭურჭელი, დაგეგმილი გვაქვს ყველა საბავშვო ბაღისთვის სათამაშოების და ავეჯის შეძენა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს*** ბატონ **ავთანდილ გულიკაშვილს,** ჩვენი გაერთიანების კურატორს, მერის ***მოადგილეს*** ბატონ **გიორგი ლალიაშვილს** და ***მერის I მოადგილეს*** ბატონ **ემზარ კუჭუაშვილს,** რომლებიც ყოველ დროს მზად არიან ჩვენი გაერთიანების სკოლამდელი აღზრდის თითოეულ დაწესებულებაში მოსალოდნელი პრობლემის აღმოსაფხვრელად, მუდამ გვეხმარებიან იმ ატმოსფეროს და პირობების შესაქმნელად, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის აღსაზრდელების თითოეულ სასწავლო დღეს და სასწავლო პროცესს საინტერესოს და დასამახსოვრებელს გახდის.

– წარმატებებს გისურვებთ სამომავლო საქმიანობაში!

– მადლობა!

ინფრასტრუქტურა-2024

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, ადმინისტრაციულ ერთეულებში სპორტული სივრცეების მოწყობა გრძელდება

ქალაქი

ქალაქ საგარეჯოში, ე. წ. სადგურის დასახლებაში სატრენაჟორო სივრცის მოწყობის სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად მოინახულა.

"ჩვენი მიზანია, რომ ახალგაზრდებს შევუქმნათ სპორტული ინფრასტრუქტურა, რათა დავამკვიდროთ ჯანსაღი ცხოვრების წესი და ხელი შევუწყოთ ბავშვების ფიზიკურ აქტივობას. გასულ წელს, მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი მინი სტადიონი მოვაწყეთ, რომელიც საკმაოდ დატვირთულია სხვადასხვა სპორტული აქტივობებით. წელს - კი, სატრენაჟორო სივრცე გამოვყავით და აგერ უკვე დასკვნით ფაზაშია სამუშაოები. ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ეტაპობრივად განხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა". - აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

სოფელი წყაროსთავი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიმდებარე ეზოში მოსასვენებელი და ***საბავშვო გასართობი სკვერის*** მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, გასართობი, სპორტული და მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც აქტიურად გაგრძელდება.

ქალაქ საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩაზე, ახალი, მრავალფუნქციური სპორტული მოედნის მშენებლობა დაიწყო

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების იერ-სახის გალამაზების პროგრამა გრძელდება ქალაქი საგარეჯო

შენობა,რომელიც 27 ბინიანი და სამსადარბაზოიანია, 1976 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ ყოფილი მექანიზებული კოლონა №62-ის მუშა-მოსამსახურეებსა და ყოფილი ივრის რკინა-ბეტონის ქარხნის თანამშრომლებს. ქუჩის მხარეს აივნები, თვითნებურად ამოშენებული ლოჯიები იერ-სახეს უკარგავდა ერეკლე მეორის ქუჩის ინფრასტრუქტურას. ეზოს მხრიდანაც მოგვიანებით მიშენებული ლოჯიები ულაზათოდ გამოიყურებოდა.

მიმდინარე წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის **ავთანდილ გულიკაშვილისა** და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელ პირთა გადაწყვეტილებით, გადაწყდა, ერეკლე II-ის №74-ში მდებარე შენობას მიეღო თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სახე, აღდგენილიყო და გალამაზებულიიყო შენობის ორივე მხარე. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხსა და შესრულების ვადებს სისტემატურად ამოწმებდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** და მისი პირველი მოადგილე **ემზარ კუჭუაშვილი.**

აღნიშნული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხით. დღეს შენობა განახლებული, გალამაზებული, იერ-სახით ამშვენებს ქუჩას.

მართლაც, გულს ახარებს რეაბილიტირებული სადარბაზოები, გამოცვლილი კარ-ფანჯარა, თანამედროვე მასალით ამოყვანილი და დამშვენებული აივნები, აივნის იატაკზე დაგებული მეტლახი, შენობის შედებილი მთლიანი ფასადი.

სოფელი მზისგული

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - ***ალექსი გილაშვილმა,*** სოფელ მზისგულში ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები ადგილზე მოინახულა.

სოფელი შიბლიანი

სოფელ შიბლიანში მოსახლეობის ***უწყვეტი წყალმომარაგების*** მიზნით, ჭაბურღილის რეაბილიტაციისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა.

პროექტის ჯამური ღირებულება 844 996 ლარს შეადგენს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი,** პირველ მოადგილესთან ერთად ჭაბურღილის რეზერვუართან დამაკავშირებელი მილის სამონტაჟო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

სოფელ შიბლიანში, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება, რის შედეგადაც, ადგილობრივი მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

წარმატებებითა და სიახლეებით აღსავსე სასწავლო წელი უკეთესი მომავლის რწმენით...

უკვე** თვეზე მეტი გავიდა, რაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში, ისე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, კიდევ ერთმა ნაყოფიერმა სასწავლო წელმა გამოიხურა კარი. ჩვენი მოსწავლეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ჩვენი ქვეყნის მომავალმა და იმედმა, წარმატებით გააცილა იგი. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მათი აღმზრდელ-მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებისა და გაწეული ფასდაუდებელი შრომის ჯეროვნად დაფასებისათვის, რაც პირველ რიგში მოსწავლეთა ცოდნის დონით აისახა. კერძოდ, თუ როგორი იყო უკვე გასული სასწავლო წელი გარეჯელი მოსწავლეებისა და მათი აღმზრდელების ცხოვრებაში და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ სამომავლოდ, გვესაუბრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი ლელა ფანოზიშვილი.

– ქნო ლელა! თქვენ ისეთი სამსახურის სათავეში ბრძანდებით, რომელშიც იწრთობა და ყალიბდება ჩვენი ქვეყნის იმედი და მომავალი, წიგნიერი, განათლებული, ერუდირებული თაობა, რომელმაც თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს მომავლის მშენებლობაში. ჩვენი პირველი კითხვაც ასეთი იქნება – რამდენი ასეთი მომავლის მშენებელი გამოუშვა მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სივრცემ?

– 2023-2024 სასწავლო წელი 459 მეთორმეტე კლასელმა წარმატებით დაასრულა და მოიპოვა სრული ზოგადი განათლების ატესტატი. მათგან დაახლოებით 300 აბიტურიენტი ეროვნულ გამოცდებზეა დარეგისტრირებული და გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გააგრძელებენ სწავლას.

– რამდენადაც ვიცი, გასული სასწავლო წელი ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა რიცხვით გამოირჩევა. ხომ ვერ დაგვიკონკრეტებდით მათ რაოდენობას? ასევე, რა წარმატებები აქვთ საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულთ?

– კურსდამთავრებულებს შორის გვყავს, ოქროს მედალოსანი 55 მოსწავლე და 8 ვერცხლის მედალოსანი. სკოლების მიხედვით ეს ასე გამოიყურება:

სსიპ - ქალაქ საგარეჯოს 1 საჯარო სკოლა -- 17 ოქრო, 3 ვერცხლი

სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა -- 6 ოქრო, 2 ვერცხლი

სსიპ - ქალაქ საგარეჯოს №4 საჯარო სკოლა --- 3 ოქრო

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა --- 1 ვერცხლი

სსიპ - აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდის საჯარო სკოლა --- 5 ოქრო

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა --- 1 ოქრო

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავის საჯარო სკოლა --- 3 ოქრო , 2 ვერცხლი

სსიპ-საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მზისგულის საჯარო სკოლა --- 1 ოქრო

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა --- 2 ოქრო

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა --- 4 ოქრო

სსიპ- გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლა ---- 10 ოქრო

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლა ---- 3 ოქრო.

საბაზო საფეხურის წარჩინებით დასრულებისთვის კი რაიონის მასშტაბით 47 მოსწავლე მიიღებს „ ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში პერსონალურ კომპიუტერს.

– მიმდინარე წელს ქვეყნის მთავრობის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებისა და მათი სახელფასო ანაზღაურების გაზრდის მიზნით, რაც აუცილებლად წარმატებით წაადგება ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის ცოდნის დონის ამაღლების საქმეს...

– საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2024 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ახალი მექანიზმი, რომლის მიხედვით მნიშვნელოვნად მოიმატა მასწავლებლის შრომის ანაზღაურებამ, საათობრივი დატვირთვის პროპორციულად, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ცვლილებები განხორციელდა. პედაგოგების ახალი სახელფასო სისტემის დანერგვის კვალდაკვალ, იწყება აქტიური მუშაობა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის განვითარების მიმართულებით. ამ მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ შეიქმნა სპეციალური ინკლუზიური კომისია, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის დახვეწილ და გაუმჯობესებულ მოდელს. განახლებული სქემა დაეფუძნება საერთაშორისო რეკომენდაციებს, ეროვნული პრაქტიკის ანალიზსა და კვლევებს.

– როგორ ჩაიარა საჯარო სკოლის დირექტორთა კონკურსმა მუნიციპალიტეტში?

– სკოლის დირექტორთა კონკურსის შედეგად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***19 საჯარო სკოლას*** სამეურვეო საბჭოს მიერ ***არჩეული დირექტორი*** ყავს, კერძოდ, ***ესენი არიან:***

სსიპ ქალაქ საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა -- **მაია ხებრელაშვილი**

სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა - **ეთერი ქვრივიშვილი**

სსიპ - ქალაქ საგარეჯოს №3 საჯარო სკოლა --- **ნატალია გულიკაშვილი**

სსიპ - ქალაქ საგარეჯოს №4 საჯარო სკოლა --- **ხათუნა ქვლივიძე**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა --- **ხათუნა ცხოვრებაძე**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავის საჯარო სკოლა --- **ლეილა ყორღანაშვილი**

სსიპ-საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მზისგულის საჯარო სკოლა --- **სოფიო ხუროშვილი**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა --- **ლია შენგელიძე**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა --- **მარინა კოჯლამაზაშვილი**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა -- **ლია როსტიაშვილი**

სსიპ- გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლა ---- **ნინო ნადირაძე**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლა ---- **მარიამ გელაშვილი**

სსიპ რევაზ ინანაიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლა ---- **კატო კერესელიძე**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყანდაურის საჯარო სკოლა ---- **ნატალია სამებელაშვილი**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა --- **ელზა ხებრელაშვილი**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლა -- **კიას აბუზაროვი**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლა --- **მაია ნადირაძე**

სსიპ ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლა ---- **ლალი აბესაძე**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორის საჯარო სკოლა --- **ნინო ბოგდიაშვილი.**

დანარჩენ 7 სკოლას ისევ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები უხელმძღვანელებენ ახალი კონკურსის დანიშვნამდე.

– რა სამუშაოები მიმდინარეობს საჯარო სკოლებში ახალი 2024-2025 სასწავლო წლის ღირსეულად შეხვედრისათვის?

– ზაფხულის პერიოდში სკოლები აქტიურად არიან ჩართული ახალი სასწავლო წლის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებაში, მიმდინარეობს სკოლების სასკოლო სახელმძღვანელოებით მომარაგება, პირველკლასელთა ბუკების განაწილება და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება.

სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლაში, სამუშაოები დასრულების ეტაპზეა, სავარაუდოდ ახალ სასწავლო წელს რეაბილიტირებულ სკოლაში დაიწყებენ მოსწავლეები. ახლო მომავალში იგეგმება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება.

– როგორ ემზადებიან მუნიციპალიტეტის პედაგოგები „-მასწავლებლის ეროვნული დღის“ შესახვედრად და დაწესებული ჯილდოების მოსაპოვებლად?

– განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, ბატონი გიორგი ამილახვარის ინიციატივით საქართველოში მასწავლებლის ეროვნული დღე დაწესდა, რომელიც ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს, 27 ოქტომბერს, აღინიშნება. ყოველწლიურად განათლების სისტემაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პედაგოგებს გადაეცემათ მასწავლებლის ეროვნული პრემია - სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო, თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით. რაც მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას განაპირობებს, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებში აქტიური კამპანია გაიმართა აღნიშნული დღის პოპულარიზაციის მიზნით და ჯამში 17 მასწავლებელი იქნა წარდგენილი მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე. ესენი არიან:

1 ***საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა*** ***თეა ქოქრაშვილი*** (დაწყებითი კლასის მასწავლებელი)

2 ***საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა*** ***ელიკო შიოშვილი*** დაწყებითი კლასის მასწავლებელი

3 ***საგარეჯოს 3 საჯარო სკოლა*** ***ნინო ბარამაშვილი*** ინგლისური

4 ***საგარეჯოს 3 საჯარო სკოლა*** ***ქეთევან ჭიაბერაშვილი*** სამოქალაქო განათლება, ისტორია

5 ***საგარეჯოს 3 საჯარო სკოლა*** ***ლიზა სონიშვილი*** დაწყებითი კლასის მასწავლებელი

6 ***საგარეჯოს 3 საჯარო სკოლა*** ***ანა ჭიაბრიშვილი*** ქართული ენა და ლიტერატურა

7 ***საგარეჯოს №4 საჯარო სკოლა*** ***მთვარისა ბაღათრიშვილი*** სამოქალაქო განათლება.

8. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა ეკატერინე ქაიხოსროშვილი-ნადაშვილი*** – სამოქალაქო განათლება, ისტორია, ბუნებისმეტყველება

9 ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლა ხაიალ გასანოვი*** ქართული, როგორც მეორე ენა

10 ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლა გოშკარ კულიევი*** ქართული, როგორც მეორე ენა

11 ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლა ლალი ვაჭრიშვილი*** ქართული, როგორც მეორე ენა

12 ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა მამედ მამედოვი*** მათემატიკა

13 ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა ჰილალ მამედოვა*** ქართული, როგორც მეორე ენა; აზერბაიჯანული

14 ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყანდაურის საჯარო სკოლა დოდო ლეგაშვილი*** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

15. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლა ლელა მახარაშვილი*** ბიოლოგია

16 ***რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლა ნათელა ოღრაპიშვილი*** მათემატიკა

17 ***რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლა ნანა ნიკოლაშვილი*** ქართული ენა და ლიტერატურა.

– ნაყოფიერ ახალ სასწავლო წელს გისურვებთ.

– მადლობა

ესაუბრა *გივი დაბახიშვილი*

მადლიერების მისამართები
როცა გულს უთბობენ

ეს პატარა გოგონა, **გაბრიელა ზაკალაშვილია.** ახლა ის ორი წლის და 7 თვისაა.როგორ დაიბადა იცით?! ჯერჯერობით თავადაც არ იცის,გაიზრდება და ყველაფერს გაიგებს. გაიგებს,რომ დედა – ლელა ხარებაშვილი სოფელ ბადიაურში დაწყებითი განათლების საფეხურის მასწავლებელმა თავისი ბედი გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძელ ილია ზაკალაშვილს დაუკავშირა. როგორ ელოდებოდნენ 37 წლის დედა და 46 წლის მამა თავიანთ პირმშოს, ამას მამიდა, მამის და– შორენა ეტყვის... დედას ის საშინელი „კოვიდი“ შეხვდა და თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოათავსეს. ბევრი ეცადეს, მაგრამ ვერაგ დაავადებას ხელიდან ვერ გამოგლიჯეს და უკვე გულგაჩერებულს, 3 იანვარს მკერდის ქვეშ გულისცემამომატებული პაწია ნაყოფი ამოაცალეს...ისეთი ციდა იყო, ხელისგულზე ეტეოდა თითქოს... და იყო ჭიდილი, ბრძოლა პატარა, ერთი მუჭა გოგონას გადასარჩენად. აპრილში,როცა უფლის განგებით, 9 თვის მანძილზე დედის წიაღში ყოფნის შემდეგ უნდა დაბადებულიყო,მამიკო გარდაიცვალა – მწვავე ლეიკემიის დიაგნოზით... დარჩა პაწია თვალაუხელი გოგონა დედ-მამის გარეშე,მას ხმაც კი არ სმენია დედის და მამის, მათგან ერთად გადაღებული ფოტოსურათიც არ დარჩა...

დღეს გაბრიელას მამიდა ზრდის, არაფერს აკლებს მამიდის დიდი და თბილი ოჯახი, მაგრამ გოგონას მაინც ნაღვლიანი თვალები აქვს და უბრწყინდება მაშინ, როცა თბილად და ტკბილად მოეფერებიან.

ამ რამდენიმე ხნის წინ გაბრიელა საგარეჯოს რეაბილიტაციის ცენტრ ***„სინერგიაში“*** მასაჟისტ ***თეა ჭინჭარაძეს*** გაეცნო და ისე შეუყვარდათ ერომანეთი, თითქოს სისხლით ნათესავები იყვნენ.

და დღეს, გაზეთის ამ ფურცლებიდან მინდა მადლობა ვუთხრა ქ-ნ თეას იმ დიდი სითბოსი და სიყვარულისათვის, რასაც ის პატარა გაბრიელას მიმართ იჩენს.

გაბრიელას პაპიდა
– თინა შიოშვილი
დიდი ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერი

წმიდა კვირიკე და წმიდა ივლიტა

28 ივლისი –წმიდა კვირიკესა და წმიდა ივლიტას ხსენების დღე

წმინდანები კირიკეს (კვირიკე) და ჯულიტას (ივლიტა) პატივს სცემენ ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიაში, რომლებიც გამოირჩევიან ურყევი რწმენითა და მოწამეობით. მათი ისტორია, დრმა სულიერი მნიშვნელობით გამსჭვალული, საუკუნეების მანძილზე უამრავი მორწმუნისა და ხელოვანის შთაგონების წყარო იყო. ჰაგიოგრაფიულ წყაროებში გამორჩეულია საღვთისმეტყველო გამოძახილები ამ წმინდანთა ირგვლივ არსებულ სასწაულებრივ ნარატივებზე, რაც ხაზს უსვამს მათ მუდმივ მემკვიდრეობას ქრისტიანული რელიგიის ისტორიაში.

კვირიკესა და ივლიტას მოწამეობა, საგარაუდოდ, მე-4 საუკუნის დასაწყისში დიოკლეტიანეს დევნის დროს მოხდა. ტრადიციის თანახმად, დიდგვაროვანი ივლიტა და მისი მცირეწლოვანი ვაჟი კვირიკე სახლიდან გაიქცნენ დევნისგან თავის დასაღწევად. ისინი საბოლოოდ დაატყვევეს და ივლიტა აწამეს, რათა იძულებული გაეხადათ იგი უარი ეთქვა თავის რწმენაზე. კვირიკემ, დედის ტანჯვის მოწმემ, გაბედულად გამოაცხადა საკუთარი რწმენა ქრისტესადმი. განრისხებულმა "გუბერნატორმა" ბავშვი მიწაზე დააგდო და მოკლა. ივლიტა შემდგომში სიკვდილით დასაჯეს,და სიკვდილმა ისინი მოწამეობრივად ისევ დედა-შვილად გააერთიანა იმიერში.

წმინდა კვირიკესა და ივლიტას უძველესი ხატი მდებარეობს ატენის სიონის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში,რომელიც VII საუკუნეშია აგებული. ატენის სიონის ფრესკები,მათ შორის ამ წმინდანთა გამოსახულებები, ყველაზე ადრეულ გამოსახულებებს შორისაა და მნიშვნელოვანია მათი ისტორიული და მხატვრული ღირებულებით. ეს ფრესკები გვაწვდის ცნობებს საქართველოში ადრეული ქრისტიანული ტრადიციებისა და ქართული საეკლესიო ხელოვნების განვითარების შესახებ. ითვლება, რომ ისინი თარიღდება ადრეული შუასაუკუნეების პერიოდით, რაც მათ ამ წმინდანთა ერთ-ერთ უძველეს გადარჩენილ გამოსახულებად აქცევს.

წმინდა კვირიკესა და ივლიტას ისტორია ასახავს მტკიცე რწმენის არსს და საბოლოო მსხვერპლს საკუთარი რწმენისთვის. თეოლოგიურად, მათი მოწამეობა ხაზს უსვამს ქრისტიანული დოქტრინის რამდენიმე ძირითად პრინციპს.

1. ***რწმენა უბედურების დროს:*** ივლიტას ურყევი რწმენა უკიდურესი დევნის წინაშე ასახავს ქრისტიანულ სათნოებას გამძლეობისა. მისი გამბედაობა ადასტურებს რწმენას, რომ ჭეშმარიტი რწმენა ურყევი რჩება ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი.

2. ***უდანაშაულობა და სიწმინდე:*** კვირიკე, როგორც პატარა ბავშვი, წარმოადგენს უდანაშაულობას და სიწმინდეს. მისი რწმენის გამოცხადება და შემდგომ მოწამეობრივი სიკვდილი სიმბოლოა იმ იდეის შესახებ, რომ მორწმუნეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა და ერთი შეხედვით ყველაზე სუსტსაც კი შეუძლია ქრისტეს ჭეშმარიტების ძლიერი დამოწმება.

3. ***მარადიული ჯილდო:*** კვირიკესა და ივლიტას მოწამეობა ხაზს უსვამს ქრისტიანულ რწმენას მარადიული ჯილდოს შესახებ, რომელიც ელის მათ, ვინც სიკვდილამდე ერთგული დარჩება. მათი ისტორია არის სამოთხის აღთქმისა და საბოლოო გამარჯვების შეხსენება დროებით ტანჯვაზე.

ისტორიის მანძილზე მრავალი ღვთისმეტყველი და რელიგიური მოღვაწე ფიქრობდა წმინდანთა კვირიკესა და ივლიტას ცხოვრებაზე. მათი გამონათქვამები და ქადაგებები უფრო ღრმად გვთავაზობს ამ წმინდანების სულიერ მნიშვნელობას ქრისტიანულ დოქტრინაში.

წმინდა იოანე ოქროპირი, ადრეული ეკლესიის გამოჩენილი მამა, ცნობილია, რომ საუბრობდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სათნოებებზე, მან ხაზი გაუსვა მათი მაგალითის მნიშვნელობას: ***„მოწამეთა სისხლი ეკლესიის თესლია“.*** ეს გამონათქვამი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ ემსახურება კვირიკესა და ივლიტას მსგავსი მოწამეების მსხვერპლშეწირვა ქრისტიანული რწმენის განმტკიცებასა და ზრდას.

წმიდა ავგუსტინე ჰიპონიც ასახავდა მოწამეობის თემას და ამბობდა: ***„მოწამეები კვდებიან, მაგრამ მათი რწმენა ცოცხლობს; მათი სხეულები იღუპება, მაგრამ მათი მაგალითი გრძელდება“.*** ეს ასახავს წმინდანთა კვირიკესა და ივლიტას მუდმივ მემკვიდრეობას, რომელთა ისტორია კვლავაც შთააგონებს და აძლიერებს მორწმუნეებს.

წმინდა კვირიკესა და ივლიტას ცხოვრება ასევე გარშემორტყმულია სხვადასხვა სასწაულებრივი ისტორიებით, რომლებიც გადმოცემულია ტრადიციის მიხედვით. ეს სასწაულები კიდევ უფრო ამყარებს მათ სტატუსს, როგორც შუამავლებს და ღვთიური ხელის მოქმედების სიმბოლოებს.

ერთ-ერთი ასეთი ლეგენდა მოგვითხრობს, თუ როგორ, მათი სიკვდილის შემდეგ, კვირიკესა და ივლიტას სხეულები სასწაულებრივად იყო დაცული და ზეციურ სურნელს ასხივებდა და აფრქვევდა. ამ ფენომენმა მიიპყრო მრავალი ათასი ადამიანი მათი სამარხის ქვასთან, საიდანაც ისინი კურნებას, შთაგონებას და ენერგიას იღებდნენ, რამაც გამოიწვია მრავალთა მოქცევა ქრისტეს რჯულზედ.

კიდევ ერთი სასწაული, რომელიც დაკავშირებულია ამ წმინდანებთან, მათი რელიქვიების დაცვას გულისხმობს. მტერთა შემოსევის დროს, ნათქვამია, რომ მათი რელიქვიები ხელუხლებელი დარჩა და საბოლოოდ გადაიტანეს უსაფრთხო ადგილებში, აგრძელებდნენ თაყვანისცემისა და სასწაულების აღსრულებას

წმინდა კვირიკესა და ივლიტას მხატვრულმა გამოსახულებებმა, განსაკუთრებით ხატებისა და ფრესკების სახით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მათი სახეების შენარჩუნებასა და გავრცელებაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ატენის სიონის ტაძრის ფრესკები, რომლებიც წარმოადგენენ მათი მოწამეობის ვიზუალურ თხრობას და საღვთისმეტყველო ასახვის საშუალებას.

კვირიკესა და ივლიტას ხატები, როგორც წესი, მათ ერთად ასახავს, კვირიკე ხშირად გამოსახულია როგორც პატარა ბავშვი, ხოლო ივლიტა, როგორც მფარველი დედა. ეს გამოსახულებები არა მხოლოდ მხატვრული გამოხატულებაა, არამედ ერთგულებისა და ლოცვის იარაღს წარმოადგენს,რომელიც მორწმუნეებს იწვევს წმინდანთა სათნოებებისა და მსხვერპლშეწირვის (ადექვატური გაგებით, რა თქმა უნდა) ღირებულების დასაფიქრებლად.

წმინდანები კვირიკე და ივლიტა რჩებიან ძლიერ ფიგურებად ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიაში, რომლებიც განასახიერებენ რწმენის, გამბედაობისა და შეუპოვრობის ღირსებებს. მათი ისტორია, რომელიც უხვად არის ასახული ხელოვნებაში და ასახულია საღვთისმეტყველო წერილობით წყაროებში, კვლავაც შთააგონებს მორწმუნეებს თაობებიდან თაობებში. სასწაულებრივი ცნობები და მათი მოწამეობის გრძელვადიანი მემკვიდრეობა ხაზს უსვამს მათ ღრმა გავლენას ქრისტიანულ რწმენაზე. როდესაც ვფიქრობთ მათ ცხოვრებაზე, ჩვენ გვახსენდება იმედის მარადიული გზავნილი და მარადიული ჯილდო, რომელიც ელის მათ, ვინც მტკიცედ რჩება რწმენაში და ვისაც "კანდელის ზეთის" მარაგიც თან დააქვს ცხოვრების რთულ გზაზე

გილოცავთ ყველას და შეგვეწიოს პატარა წმინდა კვირიკე და წმინდა დედა ივლიტა ჯანმრთელობა და მშვიდობა მოგვცეს!

მართლმადიდებლობა
პირჯვარის გამოსახვა

ბევრმა არ იცის თუ რა დატვირთვა აქვს პირჯვრის გამოსახვას :ისიც არ იცის თუ პირჯვრის გამოსახვისას ჯერ მარცხენა მკლავზე დავიდებთ ხელს და შემდეგ მარჯვენაზე ამით რომ ანგელოზსს გავაგდებთ ჩვენგან და ეშმაკს შევინარჩუნებთ ..მაშ, ასე ვისაც გაინტერესებთ თუ რას ნიშნავს თითოეული წერტილი რაზეც ხელს ვიდებთ ყურადღებით წავიკითხოთ .

პირჯვრის გამოსახვის დროს, როდესაც ჩვენ ერთად ვუყრით თავს პირველ სამ თითს - ეს არის ნიშანი ჩვენი რწმენისა, რომ ყოვლადწმიდა სამება არის ერთარსება, ხოლო ბოლო ორი თითის ერთად მოხრითა და ხელისგულზე მიჭერით გამოვხატავთ რწმენას, რომ ქრისტე მოვიდა მიწაზე ერთდროულად ადამიანი და ღმერთი. ღმერთმა ისე მოაწყო ადამიანების აგებულება, რომ ყველა ადამიანს აქვს 4 ერთნაირი წერტილი: თავი, რომელიც მართავს მთელს სხეულს მამა ღმერთის მსგავსად, მუცელზე ჭიპი - ნიშანი ჩვენი ცოდვიანი შობისა, რომლისგანაც გვიხსნა ქრისტე მაცხოვარმა, შემდეგ მარჯვენა მხარი, რომელზეც იმყოფება ჩვენი მფარველი ანგელოზი და ჩვენ, გვწამს რა ეს, ვაძლევთ მას უფლებას გააგდოს ეშმაკი, რომელიც ზის მარცხენა მხარზე. ამიტომაც პირჯვრის გამოსახვის დროს წარმოვთქვამთ: "სახელითა მამისათა" და ვიდებთ სამ თითს თავზე, რომელიც გვმართავს ჩვენ, შემდეგ ვიდებთ ჭიპზე და ვამბობთ: "და ძისათა," რომელმაც გვიხსნა ჩვენ "და სულისა წმიდისათა" - ვიდებთ მარჯვენა მხარზე და ბოლოს - მარცხენა მხარზე და ვამბობთ მხოლოდ "ამინს," ანუ რომ ჭეშმარიტია ყოველივე ის, რაც სიტყვებით წარმოვთქვით და მხოლოდ ამის შემდეგ თაყვანს ვსცემთ ღმერთს ჩვენი განწმედისათვის. ხოლო ის, ვინც იწყებს თაყვანისცემას მანამ, სანამ ხელს მიიტანს მარცხენა მხრამდე და იტყვის ამინ, მას ჯერ არა ჰყავს გაგდებული ეშმაკი და ამიტომ მას სცემს თაყვანს. ეს 4 წერტილი - არის 4 სამსჭვალი, რომლებითაც მიალურსმნეს იესო ქრისტე, ამიტომ ***პირჯვარი უნდა გამოვისახოთ, კრძალვით, აუჩქარებლად, პაუზით თითოეულ წერტილში, იმის ხსოვნით, რომ ჩვენს თავზე ვისახავთ და ვიდებთ თავად ჩვენთვის ტანჯულ ქრისტეს***. აი, რისი ეშინია ეშმაკს და არა ხელის ქნევისა. ღმერთთან არის თავისუფლება, მაგრამ არა საკუთარი ნების თავისუფლება, რომელიც ეშმაკისგანაა, (2ტიმ.2,26), არამედ თავისუფლება ღმერთსა და ეშმაკს შორის არჩევანისა, როგორიც ჰქონდა ადამს სამოთხეში. ღმერთმა გააფრთხილა ადამი, (დაბ.2,17), მაგრამ არ აკავებდა მას, ეშმაკი სთავაზობდა ცოდვას, მაგრამ ხელს არ ჰკრავდა მას. (დაბ.3,5-6). ადამი თავად იღებდა გადაწყვეტილებას, თვითონ თქვა უარი ღმერთზე და დაემორჩილა ეშმაკს, ამიტომაც ***ქრისტემ თქვა: "ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი." (მათ.16,24).*** არჩევანის ასეთივე თავისუფლება აქვს თითოეულ ადამიანს ახლაც. მარჯვენა მხარზე ანგელოზი გვთავაზობს ყოველივე კეთილს, ღვთაებრივს, ხოლო მარცხენა მხარზე დემონი გვთავაზობს ყველაფერ მიწიერს, ეგოისტურს. თავი შუაში იმყოფება და ადამიანი თავისუფალია მათ შორის არჩევანში, ამიტომ გაღვიძებისთანავე, როცა ადამიანი ჯერ კიდევ საწოლში წევს, ანგელოზიც და ეშმაკიც ელოდებიან თუ ვის გადასცემს ადამიანი თავს. ამიტომ სულის ხსნისათვის ადამიანმა მაშინვე უნდა გადაიწეროს პირჯვარი და ემთხვიოს გულსაკიდ ჯვარს სიტყვებით: "უფალო! ხელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა დღეინდელსა ამას დღესა." მაშინ ანგელოზი განაგდებს ეშმაკს და მთელი დღის განმავლობაში მფარველობს ადამიანს. მაგრამ თუ ადამიანი გაღვიძებისას იწყებს ოცნებას: "ახლა დავლევ ღვინოს, მივაყოლებ ძეხვს, წავალ საყვარელ ქალთან," და ა.შ., მაშინ დემონი ხელს კრავს ანგელოზს და მთელი დღის განმავლობაში ცოდვებისაკენ უბიძგებს ადამიანს. ამრიგად, თითოეულ წამს, მთელი დღის განმავლობაში, საჭიროა არჩევანის გაკეთება ღმერთსა და ეშმაკს შორის და ლოცვით უნდა განვაცხადოთ ამის შესახებ, როგორც სახარება გვასწავლის: "იოანე ნათლისმცემლის დღიდან აქამდე ცათა სასუფეველი ძალისხმევით აიღება და ძალისმხმეველნი წარიტაცებენ მას." (მათ.11,12). ეს არის სასტიკი და შეურიგებელი ბრძოლა საკუთარი სხეულის მიწიერ სურვილებთან, მათი უარყოფის, მათზე უარის თქმის გზით. (მათ.16,24). სულის ხსნის სხვა გზა არ არსებობს. მიწაზე არის მუდმივი ომი საკუთარ თავთან,მოსვენება ამ ბრძოლაში მხოლოდ სიზმარში შეიძლება იყოს, რადგან მოსვენება არის მხოლოდ ღმერთთან ზეცაში, ხოლო მიწაზე, ჩვენს შიგნით მოქმედებს მხოლოდ ეშმაკი - ჩვენი ნების სახით. (ლუკ.4,6; 2ტიმ.2,26). ამიტომაც, წირვის დროს, დიაკონი მოგვიწოდებს: "თავნი თვისნი და ურთიერთარს და ყოველი ცხოვრებაი ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ. (გადავცეთ). - შენ უფალო." და ასე ყოველგვარ საკუთარ სურვილზე და აზრზე საჭიროა თავის უარყოფა (მათ.16,24) და საკუთარი თავის ღვთისათვის გადაცემა, როგორც ამას აკეთებდა თავად უფალი იესო ქრისტე: "მამაო! იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი." (ლუკ.22,42), ანდა: ***"უფალო, ნუ იქნება როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ, უფალო."***

თვალსაწიერი

ის, რაც სულსა და ხორცს გვიბინძურებს...

ბილწსიტყვაობის *მოყვარული ადამიანი მხოლოდ სულს როდი იბინძურებს და უფლის წინაშე ერთ-ერთი უდიდესი ცოდვით დამძიმებული წარდგება,ის სხეულს ფიზიკურადაც „ანაგვიანებს“ და არც თუ ისე იშვიათია,როცა ასეთი ადამიანი სისხლძარღვების დაავადებით იტანჯება.სისხლს ხომ დააქვს ის დადებითი თუ უარყოფითი ენერგია, რასაც თითოეული ადამიანი სიტყვიერად თუ უბრალოდ,მხოლოდ თავის თავში გაფიქრებით წარმოიქმნის. არ არის ახალი, თუ ვიტყვით,გინება და მით უმეტეს, საკუთარი დედის გინება ყველაზე საშიში ცოდვაა,ამას საუკუნეებია ამბობს ეკლესია. დამეთანხმებით, თუ ვიტყვით და ვაღიარებთ, რომ საქართველოს მთიანეთში უფრო მეტადაა შემორჩენილი ყოველივე ქართული,წარმართულია თუ ქრისტიანული,მაინც ქართული. და,აი, სვანურ ენაში ჯერ კიდევ გასული საუკუნეების 70-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას სვანური ენის, როგორც საგნის შესწავლისას, ვერც ვიჯერებდით,რომ სვანურ ენაში გინების არც ერთი ვარიანტი არ არის. დიახ, სვანურ ენაში გინება არ არისო, გვიმტკიცებდა ზურაბ ჭუმბურიძე და დასტურს აძლევდა ჩვენი ჯგუფელი, დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სვანური ენის სპეციალისტი, უშგულელი ლელა ნიჟარძე. და ისიც ნუ გაგვიკვირდება, დღეს საქართველოს მთიანეთში რომაა შემორჩენილი ქალის,დედის პატივისცემის კულტი, ასე, რომ სწორედ მთიელები არ შეიგინებენ და შებილწავენ დედის სახეს, მაგრამ რა ხდება საქართველოში?! ტელევიზია, სანახაობები პროპაგანდას ეწევიან ბილწსიტყვაობის გასავრცელებლად და „დასანერგავად“. სწორედ ამიტომ გვაქვს თავს მოხვეული ქართველებს ამდენი განსაცდელები. ამიტომაც ვერ ვუგებთ ერთმანეთს, ამიტომაც გავთითოკაცდით და ამიტომაც გვატყდება ღვთის რისხვა.*

მაშ რა ვქნათ, რა უნდა ვიღონოთ, ბილწსიტყვაობას, დედის გინებას რომ გადავაჩვიოთ მხოლოდ კაცები, ბიჭები კი არა, 16-17 წლის და 50-60 წლის ქალებიც?! ამ კითხვაზე გვინდა თქვენი პასუხიც, ჩვენი გაზეთის ძვირფასო მკითხველო!

ბილწსიტყვაობა არის გმობა ღვთისა მისტიკური შინაარსით, ბილწსიტყვაობა ბნელი ძალების მოხმობაა

სპეციალურად გამიზნული თუ ავადმყოფობა?!

გვინდოდა შევჩერებულიყავით «მანკიერების თავისუფლების» ერთ-ერთ სახეზე – ბილწსიტყვაობაზე, რომელიც ჩვენს ქუჩებსა და სახლებს ისე აბინძურებს, თითქოს კანალიზაციის სისტემამ ამოხეთქა და მისი შედგენილობა ფეხქვეშ გვედვრება. ბილწსიტყვაობა – ეს არის სულმდაბალთა მცდელობა იმათთან გატოლებისა, ვინც მათზე მაღლა დგას, მეორე მხრივ იმ სულიერი ღირსების ჩაკვლის მცდელობაა, რომელიც სხვა ადამიანისადმი პატივისცემაში მდგომარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ***ბილწსიტყვაობა ცდილობს ადამიანისათვის ყველაზე წმინდა დაამციროს, გალანძღოს, ლაფში გასვაროს.***

ამიტომ ბილწ ლანძღვაში ხშირად გაისმის ღმერთის სახელი, უფრო ხშირად კი სიტყვა – დედა, რომელიც წყალწაღებული არამზადების გარდა ყველასათვის ძვირფასია. ეს ტალახის ნაკადიც არ არის, ეს საშინელი მყრალი მასაა, რომელიც ნარწყევივით იფრქვევა პირიდან. არსებობს ფსიქიური დაავადება, როცა ადამიანი საკუთარი უწმინდურობით სახეს ითხუპნის და ჭამს მას. სიგიჟის ამ სახეობით იტანჯებოდა, მაგალითად, ცნობილი მწერალი გი დე მოპასანი, რომელიც ლიტერატურული სიბინძურიდან ფეკალოფაგიაზე გადავიდა.

ბილწსიტყვაობა რადაცით ჰგავს ამ ფსიქიურ დაავადებას.ადამიანი სირცხვილის გრძნობისაგან თავისუფლდება და ამაშიც ასევე ხედავს თავისუფლებას. ზოგიერთ ისტერიკს ავადმყოფობის გამწვავებისას სხვების თვალწინ გაშიშვლების სიმპტომი აღენიშნება. ცნობილ დაწესებულებებში ეს პროცესი ერთგვარი სახის ხელოვნებად იქცა. არსებითად ბილწმესიტყვეც შიშვლდება ყველას თვალწინ და თითქოს იძახის: «შემომხედეთ როგორი გმირი ვარ,ჩემში წვეთიც არ დარჩა სირცხვილისა!» მისტიკური შინაარსით, ბილწსიტყვაობა ბნელი ძალების მოხმობაა.

უცენზურო სიტყვებით მოლაპარაკე კაცი ერთხანს ენერგიის მოზღვავებას, სულთან დემონების მოახლოებას გრძნობს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ ბილწსიტყვაობით, რაღაც ელექტროქსელში ჩართვის მოთხოვნილება უჩნდება. მაშინაც კი, როცა იქვე არავინაა, ვის გამოლანძღვასაც შეძლებდა, ***საკუთარი თავის გასაგონად, თითქოს თავის ცხვირს მიმართავსო, უსულო საგნებს აგინებს და ვერ ხვდება, რომ ეს ჯოჯოხეთის ძალის მოხმობის ფორმულაა. სიტყვა – ღვთის უდიდესი ძღვენია ადამიანისადმი. ის სიტყვით განსხვავდება სხვა მიწიერ არსებათაგან, რომლებსაც ერთმანეთთან ურთიერთობა მხოლოდ სიგნალებით და ნიშნებით შეუძლიათ. თვით ქრისტეს ღვთაებრივი სიტყვა – ლოგოსი ჰქვია. ამჟამად კი ადამიანური სიტყვის დემონისათვის მიცემა სურთ.***

ახალი სიცოცხლის დაბადება დიადი ნიჭია, მაგრამ ადამიანმა წაბილწა ეს ნიჭი. მან ბავშვთა შობა გარყვნილების საბაბად აქცია, ხოლო შემდგომ შიშველ სექსად მისი გადაქცევის საშუალება მოიფიქრა, რაც თანდათანობით პათოლოგიურ სექსად გარდაიქმნება. ამ მხრივაც ადამიანი ცხოველზე მეტად დაეცა. ადამიანის სიცოცხლის ჩასახვის საიდუმლო ბილწსიტყვაობის მასალა გახდა. ეს ცინიზმის თავისუფლება და საკუთარი სინდისის მოშთობაა, მაგრამ ცოდვა ადამიანს ბედნიერს არ ხდის.

ამიტომ გარყვნილი და მანკიერი ადამიანების სახეებზე გამუდმებული წუხილი, რაღაც არტისტულია აღბეჭდილი, მათ სიცილშიც კი რაღაც ნაძალადევი და ყალბი ჟღერს. ცოდვილის სული სიბნელითაა მოცული, როგორც ოთახი, სადაც მიცვალებული ასვენია შავი საფარებლით.ერთადერთი თავისუფლება ქრისტიანობამ განგვიცხადა. ეს ღმერთთან ჰარმონიაში ყოფნის თავისუფლებაა,ეს სულის გათავისუფლებაა ყოველივე უცხოსაგან – ვნებებისაგან, როგორც სულის მტკივნეული კორძებისაგან, მრავალი ფსიქიკური კომპლექსისაგან, რომლებიც კრუნჩხვასავით არყევენ და კუმშავენ გონებას.

ქრისტიანული თავისუფლება – ეს დაცვაა დემონური ზეგავლენისაგან, რომელიც ადამიანის სულს რადიაქტიური ტალღებივით ანგრევს. ამ სატანური რადიაციის დონე დედამიწაზე მუდმივად მატულობს. ამ დროს ადამიანის დაცვა მხოლოდ ღვთიურ მადლს შეუძლია...

”და უთხრა უფალმა მოწაფეებს: ნუთუ თქვენც არა გაგეგებათ რა? ნუთუ არ გესმით, რომ არაფერს, გარედან შემავალს კაცში, არ შეუძლია მისი შებილწვა?

ვინაიდან მის გულში კი არ შედის, არამედ მუცელში, და გარეთ გამოდის, რითაც წმიდა იყოფა ყოველი საზრდო.

და თქვა: კაცისაგან გამომავალი შებილწავს კაცს.

ვინაიდან შიგნიდან, კაცის გულიდან გამოვლენ: ბოროტი ზრახვანი, მრუშობანი, პარვანი, კაცისკვლანი, სიძვანი, ანგარებანი, უკეთურებანი, მზაკვრობანი, გარყვნილება, თვალის სიავე, გმობა, ქედმაღლობა, უგუნურება. ყოველივე ეს შიგნიდან გამოდის და ბილწავს კაცს”. (მარკ. 7: 18-23)

მართლმადიდებლური კატეხიზმო

ეს საუკუნის წყევლაა

დამეთანხმებით,რომ მხოლოდ ოჯახს არა აქვს გარკვეული გავლენა ჩვენი მომავალი თაობის ნორმალურად და სწორი გზით აღზრდა-განვითარებაზე. აქ უამრავი ფაქტორია გასათვალისწინებელი – სკოლა, ქუჩა, უბანი,მეგობარი,კლასელი,უბნელი, თანასოფლელი და თანაქალაქელი. ჩვენ,თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მოვახდინოთ ბრძოლა,დიახ ბრძოლა ამ მავნე ჩვეულების დასაძლევად. უარი უნდა ვთქვათ იმ გადაცემებში, ღონისძიებებში მონაწილეობაზე, რომელიც პირდაპირ პროპაგანდას უწევს ამ საშინელებას: თითოეული ასეთი სიტყვის გაგონებაზე ქმედითი ღონისძიება უნდა გავატაროთ, თუ საჭირო იქნა, ხელითაც უნდა შევეხოთ ჩვენი ოჯახის წევრს,როცა ის საკუთარი, თუნდაც სხვისი დედის შეურაცხყოფას პირიდან ამოუშვებს. ეს არ არის მოსათმენი. ქართველი ქალი არ არის ღირსი შეურაცხყოფის – ის ყველა ღონეს მიმართავს – შვილებს კომფორტი შეუქმნას, არაფერი მოაკლოს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს,სწორედ ასეთი დედის შვილი იგინება „ჩემი დედა“... ისე, არც ქალები აკლებენ და ხშირად ისეთი „პირით“ იგინებიან,მტრისას... ჩვენი ვალი კი რა არის?! ერთად ამოვიღოთ ხმა ასეთი ფაქტის შესწრებისას,მივუთითოთ, შევარცხვინოთ,მერე რა, თუ „ხურდა“ დაგვიბრუნეს,კიდევ ვეცადოთ,ჩვენი ოჯახებიდან დავიწყოთ... სკოლაში მოვიწვიოთ პიროვნებები ბავშვებთან სასაუბროდ!

მ. შაქარაშვილი

„არ დავივიწყოთ, ვისი გორისა ვართ!“

თანამედროვე ქაოსურ ატმოსფეროში ადრინდელი ღირებული აღარაფერი დარჩა. წაილეკა მოვალეობის გრძნობა, უფროსების პატივისცემა. ახალგაზრდები იმახინჯებენ ფსიქიკას, ბიჭებს არც გოგონები ჩამორჩებიან – ბილწსიტყვაობაში „მაგრები არიან“. აღარ ჩანს სიწმინდე, სინაზე, ქალის კდემამოსილება, რასაც სამწუხაროდ, ხელს უწყობს მომრავლებული უხამსი სატელევიზიო თუ კომპიუტერის ფილმები – ფეისბუკზე ხშირად გვხვდება ქალბატონებისათვის შეუფერებელი ამაზრზენი და აღმაშფოთებელი კომენტარები.

მართალია, ეს ყველაფერი დრომ მოიტანა,მაგრამ ყველა დროში ხომ იყო ცუდიც და კარგიც? არ იფიქროთ, რომ ყველაფერში ცუდს ვხედავთ, ცუდი გვწყინს და კარგი გვახარებს, მაგრამ დიდი პოეტისა არ იყოს „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგი როგორ უნდა ვაქო“. ამიტომ არ დავნებდეთ დროს, კარგი ავიღოთ და ცუდი უარვყოთ.

რა ცივილიზაციასაც არ უნდა შევეთვისოთ,არ დავივიწყოთ „ვისი გორისა ვართ“. ჩვენ ხომ ქართველები ისედაც მცირერიცხოვანი ერი ვართ „ცუდისთვის“ გასამეტებელი შვილები არა გვყავს,ამიტომ გონს მოდით ახალგაზრდებო, გამოდით იმ ბურუსიდან,რომელშიც გაუცნობიერებლად მოხვდით.

... რომ იცოდეთ,როგორი ბედნიერი ვიყავი, როცა ერთხელ, ქუჩაში მიმავალს მომესმა: „ჩუ, ბიჭო,ნუ იგინები, ქალი მოდის“ –იმედი მომეცა, მთლად არ გადავშენებულვართ...

ქალი ხომ ყველაფერია... მთის ნაკადული, ანკარა წყარო, ზოგჯერ კი – ადიდებული მდინარე და აბორგებული ზღვაა,ამიტომ ავზვირთდეთ დედებო და ბებიებო, წავლეკოთ ჩვენი შვილების და შვილიშვილების სულში დაგუგებული ჭუჭყი და შლამი და დავტოვოთ მხოლოდ ნათელი – იმედი ბედნიერი მომავლისა.

მზია დარბაისელი
ისტორიკოსი

ასეთი თბილისი გინდათ, თქვენ?!

მთელი ცხოვრება ვამაყობდი, თუმცა,სულაც აღარ მინდა თბილისის თბილისელობა. როცა თბილისი არსებობდა,მაშინ ქალის თანდასწრებით უხეშ სიტყვასაც კი ვერ იტყოდა მამაკაცი, დღეს კი ეს ტელე თუ კინოეკრანებიდან იღვრება. მითხარით, რა არის ეს? თავისუფლების ხარისხი აი, აქედან იწყება ჩემთვის ყველაფერი და იქ მთავრდება, როდესაც არანაირი ცენზი აღარ არსებობს.

გოგა პიპინაშვილი, ***მსახიობი***

ზნეობა არ აქვს ადამიანს, რომელიც ბილწსიტყვაობს

დედა ეს წმინდათაწმინდა არსებაა, რომელმაც სიცოცხლე მოუვლინა პირმშოს, ჯერ 9 თვე მუცლით ატარა, შემდეგ საშინელი სამშობიარო ტკივილები გადაიტანა, მის გაზრდაში დამეები ათია,დღეები გაუთვითცნობიერებლად დააღამა. აღზრდას მთელი თავისი არსებობა და ახალგაზრდობის წლები შეალია. სწორედაც რომ უნდა ამოვიღოთ ხმა, ვთქვათ სათქმელი, რომ ერთეულები, ვინც დედას აგინებდნენ საკუთარ თავს, ვითომდა თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად, ისინი არიან ყველაზე დიდი უნამუსოები, რომ მათი სიტყვა ყოველთვის დაუჯერებელი იქნება, რომ ისინი თავიანთ ცოდვაზე, ამ უდიდეს ცოდვაზე პასუხს აგებენ. არავინ უარყოფს, რომ სწორედ ტელესივრციდან და სოციალური ქსელებიდან ხდება ამ საზოგადოებრიობის პროპაგანდა, და დამეთანხმებით, რომ აუცილებელიცაა ცენზურის დაწესება, სხვაგვარად ეს საქართველო არ იქნება ისეთი, როგორიც მართლმადიდებლურ ქვეყანას შეეფერება.

ნიკო ჯავახიშვილი

სპორტი

ბეჭდაუდებელი ფალავნების ნაკვალევზე

კახეთი და მით უმეტეს – საბარეჯო აღიარებულია მოჭიდავეთა სამჭედლოდ, რომელთა ნაკვალევზედაც იზრდება დღეს მომავალი თაობა –მოძმედი და თანაც როგორი?! მომავალი მსოფლიოს, ევროპის, საქართველოს ჩემპიონები. პატარძეული კი ის სოფელია, სადაც თავისი სპორტული სიტყვა გაბედულად ბევრმა მოჭიდავემ თქვა. ერთ-ერთი მათგანია არჩილ ონაშვილი.

ჩვენი მიწა-წყლის ღირსეული შვილები პატარძეულელი ლომკაცი, 1944 წლის საქართველოს აბსოლუტური ფალავანი

არჩილ ონაშვილი

დაიბადა 1915 წელს სოფელ პატარძეულში.

არჩილ ალექსანდრეს-ძე ონაშვილი, როგორც იმ დროის ყველა კახელი ბალღი პატარაობიდან ეზიარა ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, შეიძლება ესეც ითქვას ფეხი მყარად ნახერხზე აიდგა. ლომის ჯან-გული ჰქონდა, თუმცა, როგორც იძახიან არც ტექნიკასთან იყო შორს, სხვანაირად ვერც იქნებოდა, ნახერხზე გაზრდილი ბავშვი და უტექნიკო, სად გაგონილა?

საგარეჯო მაშინ "ლელოს ბიჭის" (ასე ეძახდნენ პატარაობაში არჩილს საჭიდაო არენებზე კახეთში) ბიჭობის პერიოდში მოწინავე პოზიციებზე იყო დედა-ჭიდაობაში. მარტო გიორგიწმინდელი არსენ მეკოკიშვილის (3-გზის აბსოლუტური ფალავანი 1936, 1938, 1939 წ.წ.) სახელიც საკმარისია.

პატარძეულს ბატონი არსოდეს ჰყოლია, მისი ბატონი მხოლოდ მეფე იყო!

ეს სოფელი ძველთაგანვე ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი სამაგალითო კერა ყოფილა. აქ მხოლოდ თავისუფლების მოყვარე ხალხი სახლობდა, გამოირჩეოდნენ სმართლის მოყვარეობით, ვაჟკაცობით, შესანიშნავი სპორტული მონაცემებით, კარგი მეომრული თვისებებით, ამიტომაც მეფე დიდად ენდობოდა მათ, იყო დრო, როდესაც ორი ათასამდე კარგად შეიარაღებული, ჯანდონიანი, პატარძეულელი ედგა "მეფე ერეკლეს" მეწინავე ლაშქარში.

1930-იანი წლების ბოლოს თბილისის ცირკის არენაზე სწორედ ეს ორი ფალავანი არსენ მეკოკიშვილი და არჩილ ონაშვილი დაწყვილდნენ, შეხვედრას სახელგანთქმული ფალავანი გიორგი ვერელი კახნიაშვილი სჯიდა,დაჭიდება ფრედ დასრულდა და როდესაც შეჯიბრების შემდეგ ბ-ნმა გიორგი ვერელმა ჰკითხა მაშინ ჯერ კიდე ახალგაზრდა არჩილს თითქოს მეტი შეგეძლოო ბოლომდე რათ არ ირჯებოდიო? - "ლელოს ბიჭმა" ასეთი პასუხი გასცა: - "არსენ მეკოკიშვილი დიდების მწვერვალზედ იმყოფება, ლეგენდაა და არ მინდოდა მისი პიროვნებისთვის ჩრდილი მიმეყენებინაო" - ასე იყო, თუ ისე - ეს პასუხი "აბსოლუტურად გულწრფელი გახლდათო, გულიდან ამოღებული სიტყვები იყოო" იხსენებდა რამდენიმე ხნის შემდეგ ამ შერკინებას გიორგი ვერელი გაზეთ - "ლელოსთან" მიცემულ ინტერვიუში.

ამის შემდეგ არჩილ ონაშვილი რამოდენიმეჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი ქვემძიმე წონაში (იმხანად ოფიციალურ ტურნირებზე წონითი კატეგორიები უკვე არსებობდა), თუმცა ნახერხმოყრილ არენებზე პაექრობები მეტადრე ძველი ყაიდით - დაეჭიდები? პრინციპით ასე,რომ ვთქვათ ვიზუალურად დანახვებით იმართებოდა, ნახერხზე ონაშვილი აბსოლუტურ კატეგორიაში ეწერებოდა და სარბიელიდან მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა,მაგრამ ბედის უკუღმართობამ, შეიძლება შურმაც, ჩარხი უკუღმა დაატრიალა და სპორტული ფორმის მწვერვალზე მყოფი უკვე აბსოლუტური ფალავანი (1944 წ.), არჩილ ონაშვილი დაიჭირეს და სპორტისათვის გამოსაყენებელი საუკეთესო წლები ციხეში გაატარა, თორემ ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ გამარჯვებას იზეიმებდა...

დადონებულმა, ლომგულმა ფალავანმა, აღსარების მსგავსი წერილიც დაწერა (ამ დროს წერა-კითხვა დიდად არ ეხერხებოდა), რომლის მცირედ ბოლო ნაწილსაც უცვლელად გთავაზობთ.

"....მაშინდელმა მეფემ ნიკიტა ხრუშოვმა დიდი ამინისტია გამოუშვა, გაიღო ციხის კარებები და 50 მილიონი პატიმარი განთავისუფლდა, მე კი ორი თვედა მქონდა სასჯელი მოსახდელი სრულიად უდანაშაულომ მოვიხადე, ძვირფასო მკითხველო - დამტოვებ კაცურ კაცად,თუ ვერა?"

სულმნათი გიორგი ვერელისა არ იყოს ამ წერილის წაკითხვისას წამით არ შემპარვია ეჭვი ბატონი არჩილ ონაშვილის გულწრფელობაში, წერილის არც ერთ სიტყვაში, რომლის ბოლო აბზაცი შემოგთავაზეთ, ისე 35-ი გვერდი დაწერა ამ ფაქტიურად წერა-კითხვის უცოდინარმა კაცმა სინანულით.. განსაკუთრებით სულ ბოლო სტროფზე გავმახვილდები! სადაც "ლელოს ბიჭი" მკითხველში დიდწილად ჩვენ მომავალ თაობას მოგვმართავს, წუხს, რომ თავისი ცხოვრებისეული ლელო ისე ვერ გაიტანა როგორც მას სურდა, თუმცა ჩემს გონებასა და მეხსიერებაშიც ბოლომდე კაცურ-კაცად დაგიტოვებ შენი სპეტაკი სულის ჭირიმე პაპა არჩილ!.....

ციხიდან გამოსული თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკაში მუშაობდა,სადაც ქართული ჭიდაობის არსენალი იყო და არჩილ ონაშვილი იქ შექმნილი ჭიდაობის სექციას ხელმძღვანელობდა. მიუხედავად ციხის ნესტიან კედლებში გატარებული წლებისა, იგი ჯანმრთელობას და ღონეს არ უჩიოდა. 1953 წელს მან მოუგო ისეთ ფალავნებს, როგორებიც იყვნენ ზალიკო ჩიკვილაძე და ვალერიან ბათლიძე .

არჩილ ონაშვილი საქართველოს აბსოლუტური ფალავანი იყო. გარდაიცვალა 1998 წელს.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ურეკში – ფესტივალზე

28-29-30 ივნისს ქ. ოზურგეთში ჩატარდა ბადრი პატარაკაციშვილის სპორტულ-სანახაობითი ფესტივალი „ურეკის გაზაფხული",რომელიც მიზნად ისახავდა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომ განვითარებაპოპულარიზაციის და პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევას. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ 2012-2013 წლებში დაბადებული ჭაბუკები. მათ შორის აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის (მწვრთნელი ***თამაზ ყიფიანი)*** აღსაზრდელი **იოანე მირზაშვილი**. მან ფესტივალზე მესამე ადგილი დაიკავა.

სამბო

ლადო მაჩურიძე საქართველოს ჩემპიონია

დასრულდა საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში 2008-2009 წლებში დაბადებულ კადეტებს შორის (2008-2009წ).

ჩემპიონატი ჩატარდა თერჯოლაში, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სადაც წარმატებით იასპარეზეს საგარეჯოს სპორტული გაერთიანების სპორტსმენებმა.

საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ლადო მაჩურიძემ – (71კგ)

ხოლო შემდეგი საპრიზო ადგილები დაიკავეს:

დავით ბორაშვილი - (64კგ) (IIადგილი); **ერეკლე მეურმიშვილი** -(88კგ) (IIადგილი); **რამაზ საძვარელაშვილი** - (49კგ) (III ადგილი); **ოთარ ოდიკაძე** - (58კგ) (III ადგილი)

ძიუდო

ბრინჯაოს მედალი

დასრულდა უნგრეთში გამართული პაკსის ევროპის თასი ახალგაზრდებს შორის, სადაც წარმატებით იასპარეზა ჩვენმა ძიუდოისტმა **დავით კევლიშვილმა** 60კგ წონით კატეგორიაში და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ქალთა ძიუდო

მიზანი და მონდომება

საბარეჯოს ქუჩებში ჩვეულებრივი მოქალაქესავით,ჩვეულებრივი გოგონასავით დადის, ან რა უნდა შეატყო, მართლაც ჩვეულებრივ,ქართულ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ გოგონას.ამ დღეებში საგარეჯოს ცენტრში შემომხვდა, მეგობრებთან ერთად, პატარა გოგონასავით ნაყინს შეექცეოდა,ხმაურითა და რადაცნაირი თბილი ღიმილით სპორტული დარბაზისაკენ მიიჩქაროდნენ...

ვისზეა საუბარი? ეს გოგონა ახლა 18 წლისაა. 2012 წელს პირველად მივიდა სპორტულ დარბაზში – პატარა, დალეული, მორიდებული... ჭავჭავაძის ქუჩაზე, მეზობლობაში,რიცხობრივად ათეულზე მეტ ბიჭს სწორედ ის სჯობდა სპორტულ თამაშობებში, სალტოს მის გარდა ვერავინ აკეთებდა, ვერც ბურთს გაურბოდა „ერუგო ლაფტაზე" და ვერც ფეხბურთს თამაშობდა. პირველი კლასის კარები შეხსნა საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლაში. მასწავლებელმა ლეილა სანთელაძემ გულთბილად მიიღო პატარა გოგონა, შემდეგ კი მთელი გულისყური მისკენ ჰქონდა, მისი წარმატებები ახარებდა. პირველ კლასშივე იყო და მეზობელმა ჭიდაობის მწვრთნელმა მოჰკიდა ხელი და ა(ა)იპს„საგარეჯოს სპორტგაერთიანების" გოგონათა ძიუდოს მწვრთნელ ლუდა ფერაძეს მიუყვანა – აი, რადაც ისეთი მონაცემები აქვს, საქართველოს ჩემპიონს მაინც გაზრდიო.

– პირველად დაცვის პოლიციის შენობაში იყო გოგონების ძიუდოს სექცია,სადაც 30 გოგონა ვვარჯიშობდით, შემდეგ არსენ მეკოკიშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზში გავაგრძელეთ მეცადინეობა, ბოლოს კი გოგონებისთვის სპეციალურ სპორტულ დარბაზში ერეკლე II-ის ქუჩაზე, – ***მეუბნება ჩემი რესპოდენტი თამთა სუხიაშვილი,*** – ლუდა მასწავლებელმა ისე მიგვიღო, როგორც საკუთარი შვილები, შემდეგ მარიამ ხოსიტაშვილი და მე მოგვნათლა. და იცით, როგორ ტვირთსაც იღებს თავის თავზე ნათლულის მიმართ ნათლია. მაგრამ, მისთვის ყველა შვილები ვართ. ჩემი თანამებრძოლებიც დამემოწმებიან, რამდენჯერ თბილისიდან სპეციალურად ჩამოსულა და წამლები და პროდუქტი ჩამოუტანია სნეულებაში მყოფი სექციის წევრისათვის.

დიახ, 2012 წლიდან დავიწყე ვარჯიში და ნელ-ნელა ვიმკი გამარჯვებებს – ივნისში თურქეთში ვიყავი, ერთ-ერთი ოლიმპიური თამაშის გამარჯვებულის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე და იქ ოქროს მედალი ავიღე, პირველი ადგილი დავიკავე. ფინალში თურქს მოვუგე. ნაკრები 26 მოჭიდავისაგან შედგებოდა, ჩემთან ერთად ჩემი სექციის მოჭიდავეებიც იყვნენ – ნინო საფარაშვილმა, სამწუხაროდ, წააგო. მარიამ ხოსიტაშვილმა კი მეორე ადგილი დაიკავა... საერთოდ, თურქეთში მესამედ ვიყავი. ორჯერ წინა შეჯიბრებებში ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, ივნისში კი – ოქრო. ისე, 52 კგ წონით კატეგორიაში გამოვდივარ ასპარეზზე,მაგრამ თურქეთში 48კგ წონით კატეგორიაში გამოვედი. ადვილია დაბალწონიანებთან შეხვედრა. თურქეთში 16 ქვეყნის ძიუდოისტები ვმონაწილეობდით.ამ საერთაშორისო ტურნირში ვერც ერთი საგარეჯოელი ვერ მივიღებდით მონაწილეობას, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას რომ არ დავეფინანსებინეთ, რაზედაც დიდი ***მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ ავთანდილ გულიკაშვილს,*** რომელიც არც სხვა დროს გვტოვებდა და გვტოვებს ყურადღების გარეშე.

სხვა ჯილდოების და შედეგების რა მოგახსენოთ – ევროპის თასზე ბრინჯაოს მედალი მაქვს მოპოვებული, საქართველოს ჩემპიონატში ვერცხლის მედალი, ორჯერ ბრინჯაოს მედალი. ნამყოფი ვარ ლისაბონის ევროპის ჩემპიონატზე, ზაგრებში,იქაც ევროპის ჩემპიონატზე, ძალიან დამწყდა გული და ლატვიაშიც – მესამე ადგილისათვის ბრძოლაში დავმარცხდი.

27 ივლისს შვეიცარიაში მივდივარ საქართველოს ნაკრებთან ერთად, 10 აგვისტოს – მაკედონიაში – ევროპის თასზე, ვნახოთ,ვემზადები და ველოდები ძალიან დიდი ემოციებით. ემოციებს მიმძაფრებს ის, რომ მამაჩემი უფრო დიდი ემოციებით ელოდება ჩემს წარმატებებს, რადგან სანამ სექციაში მივიდოდი, ყველაზე დიდი გულშემატკივარი მამაჩემი – ალიკა გრატიაშვილი (მე და ჩემი ძმა დედის გვარზე ვართ, თუმცა ოჯახი ერთად ვცხოვრობთ) იყო. დედა არ მიშვებდა ჭიდაობაზე, მამა კი დაჟინებით მიჭერდა მხარს, როგორც იქნა, დედაც – ეკა სუხიაშვილიც დავიყოლიეთ ნათესავების დახმარებით. ჩემი გულშემატკივარია ჩემი ძმაც – 22 წლის ნიკოლოზი, რომელიც ადრე გამოეთიშა ჭიდაობას, ასევე, ჩემი ბებო – თამრიკო და გინდ დაიჯერეთ, გინდა არა – ჩემი მშობლიური ჭავჭავაძის ქუჩის მცხოვრებნი, სადაც ცნობილი მოჭიდავეები, მორბენალი, რაგბიში წარმატებით ფეხადგმული „პატარძეულელი ვეფხვების" სანაქებო კაპიტანი – ერეკლე ბაირამაშვილიც ცხოვრობს.

საუბრის ბოლოს თამთა სუხიაშვილი „გამოტყდა" ყოველი მორიგი ტურნირებისათვის სწორედ ამიტომაც ემზადება გულმოდგინედ და მთელი შესაძლებლობით, დიდი სურვილი აქვს თავის ჯილდოებსაც შემატოს ჯილდო და ამასთან ჭავჭავაძის ქუჩას, ამ პატარა ქუჩას სხვებთან ერთად საამაყო შვილი ჰყავდეს მისი სახით სხვებთან ერთად.

სასიხარულო და საზეიმო დღეები საგარეჯოში

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი* ავთანდილ გულიკაშვილი:**

– არის დღეები, როდესაც მოულოდნელი ემოციებით გვავსებს და რჩება, როგორც იმედის, თანადგომისა და მხარდაჭერის განცდა...

ჩვენ, თქვენ გვერდით ვართ!

სოციალური თანადგომის აქციის ფარგლებში, ოჯახებს, რომლებიც ჩვენგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ ყოველთვის გავუწევთ დახმარებას და მზრუნველობას. ამ ეტაპზე, **წიკლაურების მრავალშვილიან ოჯახს,** რომლებსაც სულ რამდენიმე დღის წინ მე-7 შვილი შეეძინათ საჩუქრები გადავეცით. გადავწყვიტეთ, რომ პრიორიტეტად ბავშვების სიხარული ვაღიაროთ, ოჯახების გამორჩეულ წევრებს- გულები გავუთბოთ და მხარში დავუდგეთ.

ახალგაზრდული ფესტივალი საგარეჯოში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, ***ავთანდილ გულიკაშვილის ინიციატივით,*** 21 ივლისს, ქ. საგარეჯოს ღია საცურაო აუზზე ზაფხულის ***ახალგაზრდული ფესტივალი*** გაიმართა.

დონისძიებაზე სპეციალურად მოწვეულ აბიტურიენტებს საჩუქრები და მისალოცი ბარათები დახვდათ.

საღამოს დიჯეი გიგა პაპასკირი უძღვებოდა.

აქვე, წარმოდგენილი იყო კვების სივრცეები, სადაც მუნიციპალიტეტის მერი სტუმრებს ბრენდირებული ტკბილეულით, ცივი სასმელებითა და კოქტეილებით გაუმასპინძლდა.

ბაკურიანის ლამაზი დღეები დამთავრდა

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com